ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4658433

ნომერი: AR1704034

თარიღი : 02.09.2019

გაცემის თარიღი : 05.09.2019

გაცნობის თარიღი : 05.09.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, პეტრე იბერის ქუჩა, N 26;

დამკვეთი-განმცხადებელი
- შოთა ქუთათელაძე პ/ნ 37001008060
- სამტრედია ძნელაძის 172

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 29 მაისის №4521762 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 02

სექტემბერს NAR1704034 განცხადებით მომართა შოთა ქუთათელაძემ და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 29 მაისის №4521762 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2019 წლის 29 მაისის №4521762 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, პეტრე იბერის ქუჩა, N26-ში თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №01.10.06.001.203), მრავალფუნქციური კომპლექსის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2019 წლის 29 მაისის №4521762 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, საცხოვრებელი ფართობი 20123.74 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 19930.57 კვ.მ, საზაფხულო ფართობი 2128.88 კვ.მ-ის ნაცვლად 3301.99 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 4738.59 კვ.მ-ის ნაცლვად 4715.39 კვ.მ, ასევე, მოთხოვნილია საოფისე ფართობის - 283.89 კვ.მ-ის და ავტოსადგომის ფართობის 5525.9 კვ.მ-ის დამატება, საერთო ფართობი 29366.38 კვ.მ-ის ნაცვლად 36132.91 კვ.მ.
საჯარო რეესტრის ამონაწერის (განაცხ. რეგისტრაცია – N882019224550 მომზადების თარიღი: 28/03/2019 10:23:52) მიხედვით, N01.10.06.001.203 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „ჯი დი ჯგუფი“ (431173268). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაცია - B19053862, მომზადების თარიღი: 14/05/2019 10:40:57), შპს შპს „ჯი დი ჯგუფი“-ს (431173268) დირექტორს წარმოადგენს შოთა ქუთათელაძე (პ/ნ: 37001008060).
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და გეგმები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია. აქედან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და ცვლილება შეიტანოს 2019 წლის 29 მაისის №4521762 ბრძანებაში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 29 მაისის №4521762 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საცხოვრებელი ფართობი: 19930.57 კვ.მ, საზაფხულო ფართობი: 3301.99 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი: 4715.39 კვ.მ, ასევე, დაემატოს საოფისე ფართობი: 283.89 კვ.მ, ავტოსადგომის ფართობი: 5525.9 კვ.მ, საერთო ფართობი: 36132.91 კვ.მ.
2. სამსახურის 2019 წლის 29 მაისის №4521762 ბრძანებით შეთანმხებული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 29 მაისის №4521762 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 29 მაისის №4521762 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.